

აღექსიშვილის ეროვნული ბანკის პრეზიდენტობაში საფრთხეს ვერ ვხედავ

გაზეთი “ახალი თაობა”, 10 სექტემბერი, № 249, 2007

ინტერვიუ პარლამენტარ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, საკმაოდ დიდი ხმაური მოჰყვა იმ სამთავრობო კარუსელს, რომელიც პრეზიდენტმა შემოგვთავაზა. თქვენ როგორ აფასებთ ამ გადაადგილებებს და რამდენად სწორი გათვლა გააკეთა პრეზიდენტმა ამ ნაბიჯით?

– პირველ რიგში მოდით გავერკვეთ, თუ რას ნიშნავს ჩვენს პოლიტიკაში დამკვიდრებული ტერმინი “კარუსელი”, რომელიც სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით გამოიყენება. ამ მიზნით მკითხველს ერთ საბავშვო გამოცანას შევახსენებ: “მიდის, მოდის ადგილზე დგას – რა არის? ეს კარებია”. მაგრამ თუ დაგუკვირდებით, ზუსტად იგივე ეფექტის მატარებელია კარუსელიც, რომელიც მიდის, მოდის, მაგრამ მაინც ადგილზე დგას. თუმცა უფრო რთული მექანიზმია, ვიდრე კარები. ზუსტად იგივე ხდება ჩვენს მთავრობასთან მიმართებაშიც: მთავრობაში არის რამოდენიმე მინისტრი, რომელიც უცვლელია და ამდენად “კარუსელის ღერძის” ფუნქციას ასრულებს. დანარჩენი მინისტრების ურთიერთჩანაცვლებით კი პრაქტიკულად არაფერი იცვლება. აქედან გამომდინარე, არც პროგნოზის გაკეთებაა რთული, თუ რა რამდენად შეიცვლება. ამ პროგნოზს კი აქვს ორი – ოპტიმისტური და არცთუ ოპტიმისტური მხარე. ოპტიმისტური გახლავთ ის, რომ კიდევ უფრო გაძლიერდება ქვეყნის თავსაცვისუნარიანობა; კვლავ გაგრძელდება საგადასახადო ადმინისტრირების მაღალი დონე, რომელიც უზრუნველყოფს ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ზრდას; ასევე გაგრძელდება ის წარმატებული მცდელობები, რაც მთავრობას ჰქონდა ენერგეტიკის სფეროში, ანუ უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვეყანას არ შეექმნება სირთულე და კვლავ ექნება ელექტროენერჯისა და გაზის 24 საათიანი მიწოდება; გაგრძელდება გზების, შადრევნების და საბავშვო ატრაქციონების მშენებლობაც. ამასთან, ასევე გაგრძელდება აგრეთვე ის გარდაქმნებიც, რომელიც, როგორც წესი, გამოიხატება სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევაში (ფაქტია, რომ მთავრობაში

“მნგრეველები” საკმაოდ კომფორტულად გრძნობენ თავს); სამწუხაროდ, ასევე გაგრძელდება კანონის სისტემატური დარღვევაც, რომელიც ყველაზე მძაფრდად ადამიანის უფლებათა შელახვასა და საკუთრების უფლების ხელყოფაში გამოიხატება. პრაქტიკულად “კარუსელი” ჩვენ გვიჩვენებს, რომ კი არის მოძრაობა, მაგრამ ეს მოძრაობა არანაირ სერიოზულ ცვლილებას არ გამოიწვევს. ყველა ის პოზიტივი და, სამწუხაროდ, ნეგატივიც, რაც აქვს ამ მთავრობას უცვლელად გაგრძელდება. ასე, რომ “კარუსელით” არც არაფერი შეცვლილა, რამეთუ – “შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება”. კარუსელი ტრიალებს, მიდის, მოდის, მაგრამ მაინც ადგილზე დგას!

– გამოდის, რომ ის დაპირებები, რომელსაც პრეზიდენტი გვაძლევს და ირწმუნება, რომ შესრულდება, არ შესრულდება?

– არა რატომ, მოდით, ასე ვთქვათ – დაპირებაც არის და დაპირებაც. დარწმუნებული ვარ, რომ 100 (შესაძლოა მეტიც) ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმო მართლაც შეიქმნება, და თუ გაჭირდა საქმე, ამ პრობლემას ქართული სტატისტიკა ჩვეული “წარმატებით” გაართმევს თავს... აქვე ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ქართველი გლეხი მართლაც მშრომელია, რომ მას ყოველთვის სურს რაღაც გააკეთოს. მაშინაც კი, როცა ის აბსოლუტურად კორუმპირებულ სივრცეში მუშაობდა, გლეხი ყოველთვის ცდილობდა თავისი შრომით გადაერჩინა არა მარტო საკუთარი ოჯახი, არამედ ბაზარზეც გაეტანა პროდუქცია გასაყიდად. დღეს, როდესაც ქვედა დონეზე კორუფცია მაქსიმალურად შემცირებულია, სოფლად (და არა მარტო) ახალი საწარმოების დარეგისტრირება რთული სულაც არ არის. როცა მოსახლეობას უჭირს, ის ყოველთვის თავის ნაყოფიერ მიწას მიაკითხავს გადასარჩენად. აქედან გამომდინარე, პესიმისტურად არ ვუყურებ იმას, რომ 100 ახალი საწარმოს შექმნა იყოს რთული და შეუძლებელი. ასე, რომ პრეზიდენტის ეს დაპირება რეალურია. არის მცდარი დაპირებებიც, მაგალითად 2006 წლის ზაფხულის დაპირება დასაქმებასთან დაკავშირებით; გახსოვთ ალბათ, როდესაც მთავრობამ 20 მილიონზე მეტი ლარი გამოყო და 150-150 ლარი სამი თვის განმავლობაში უხადეს უმუშევრებს, რომ ისინი ვითომდა დასაქმებულიყვნენ. ეს კი აშკარად წარუმატებელი პროექტი იყო.

– ამ სამთავრობო კარუსელის შემდეგ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ პირადად თქვენ, რამდენად სერიოზულად უდგება ქვეყნის ხელისუფლება ეკონომიკას, როდესაც პირველ რიგში ამ დარგის მინისტრები გადაანაცვლეს?

– მოდით დავიწყოთ იმით, რომ პრემიერ-მინისტრი უცვლელი დარჩა. ის მთავრობის საქმიანობის სტილის შენარჩუნების უმთავრესი გარანტია. არც ეკონომიკური განვითარების მინისტრი შეცვლილა, თუმცა ამ სამინისტროს მხოლოდ გაყიდვის სამინისტრო შეიძლება ეწოდოს დღეს. რაც შეეხება ფინანსთა მინისტრს, უნდა გითხრათ, რომ ახალი მინისტრი თავისი განათლებით ეკონომისტ-ფინანსისტია. მისი განათლება კი იმის გარანტიას იძლევა, რომ ის შემთხვევითი კაცი არ იქნება ფინანსთა სამინისტროში. ამავდროულად გილაურმა საკმაოდ წარმატებულ მინისტრად გამოიჩინა თავი: ის ზოგს მოსწონს, ზოგს – არა, მაგრამ ის, რომ დღეს საქართველო განათებულია და ქვეყნის ელექტროენერგეტიკა დენის ზოგჯერ უაზროდ ხარჯვასაც (ვგულისხმობ ზამთარში შედრევნების უწყვეტ მუშაობას) კი უძლებს, ეს ფაქტია. ამიტომ ამ ცვლილებას პესიმისტურად არ ვუყურებ, თუმცა ვთვლი, რომ არც ლიქსო ალექსიშვილი შეიძლება ჩაითვალოს ცუდ ფინანსთა მინისტრად. ის იყო იმ დავალებების შემსრულებელი, რომელიც პრემიერისგან მოდიოდა. ასე რომ, ეკონომიკურ გუნდში რაც იყო კარგი და ცუდი, ისევ შენარჩუნდება.

– ბატონო ლადო, ოპოზიციამ მთავრობის სამოქმედო პროგრამა სადღეგრძელოს შეადარა, რამაც როგორც ჩანს პრეზიდენტი გააღიძინა. თქვენ რამდენად კმაყოფილი ხართ წარმოდგენილი გეგმით?

– ამ შემთხვევაში ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი დეპუტატის ქნ ელენე თევდორაძის ფრთოსან გამონათქვამს გამოვიყენ: ამ ე.წ. პროგრამის გაცნობის შემდეგ “აღშფრთოვანებული” დავრჩი. საქმე ისაა, რომ ეს დოკუმენტი მართლაც არ არის პროგრამა. მაგრამ ეს არ არის პროგრამა, არა მარტო ახლა, არამედ პოსტრეფოლუციურ საქართველოში რომელიც მთავრობის დამტკიცებაც მოხდა, არც ერთის წარმოდგენილი დოკუმენტი არ იყო პროგრამა. უფრო მეტიც, 2004 წლის დასაწყისში, როცა მოხდა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა და მინისტრთა კაბინეტის აღდგენა, იქ ეტყობა არ იყო ბოლომდე გააზრებული ასეთი ჩანაწერის მნიშვნელობა, რომ

ნდობის მისაღებად მთავრობას უნდა წარედგინა პროგრამა. კონსტიტუციით დადგენილ ორკვირიან ვადაში მთავრობის მიერ პროგრამის დაწერა შეუძლებელია. ვისაც მართლა ჰგონია, რომ ეს დოკუმენტი პროგრამაა, მე ვურჩევ ნებისმიერი სახელმძღვანელო, თუ საცნობარო ლიტერატურა გადაშალოს და წაიკითხოს, თუ პროგრამის ქვეშ რა იგულისხმება. პროგრამაში ელემენტარულად აუცილებელია მიმდინარე სიტუაციის შეაფასება, უმთავრესი მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბება, ამ ამოცანების გადაწყვეტის გზებისა და მექანიზმების დასახვა, ვადებისა და შემსრულებლების განსაზღვრა. თუ ეს ასე არ არის, ეს დოკუმენტი ვერც ერთ შემთხვევაში პროგრამა ვერ იქნება. კარგი იქნება, თუ კონსტიტუციაში შევა ცვლილება და მთავრობას მოეთხოვება არა პროგრამის, არამედ “განაცხადის” წარმოდგენა, თუ რის გაკეთებას აპირებს და რა ვადებში. ამასთან იმის თუნდაც ხმამაღალი ძახილი, რომ ეს არის პროგრამა, მახსენებს ერთ აღმოსავლურ სიბრძნეს: “რამდენიც არ უნდა იძახო ხალვა, პირი არ დაგიტკბებაო”. რამდენიც არ უნდა იძახონ, რომ ეს დოკუმენტი პროგრამააო, ის მაინც ასეთი ვერ იქნება.

– ოპოზიციამ წარმოდგენილ დოკუმენტს სადღეგრძელო უწოდა...

– არა სადღეგრძელოს არ ჰგავს. ეს უფრო “განაცხადია” (თანაც, სამწუხაროდ, ბუნდოვანი) იმის შესახებ, თუ მთავრობა რას ფიქრობს იმაზე, თუ რის გააკეთებას აპირებს. რაც შეეხება პირადად ჩემს დამოკიდებულებას, მინდა გითხრათ, როდესაც ეს საკითხი იხილებოდა, სამწუხაროდ ავად ვიყავი და ვერ მოვახერხე დასწრება, მაგრამ მე ამ პროგრამას მხარს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ დაგუჭერდი ბევრი მიზეზის გამო. მკითხველს იმედია ესსომება ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება თავისუფალი ეკონომიკური ზონების მიმართ. ამ ე.წ. პროგრამაში წერია, რომ ერთერთი ასეთი პრობლემა, რომელსაც ნდობა უნდა გამოეცხადოს, გახლავთ თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა. ამ კანონპროექტისადმი უარყოფითი დამოკიდებულება მე თავის დროზე პარლამენტშიც გამოვხატე და ბუნებრივია ჩემი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი დღესაც უცვლელია. სამწუხაროა, რომ ამ ე.წ. პროგრამაში ერთი სიტყვაც არაა ნახსენები იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკონომიკა კოლანდიური დაავადებითაა დასნეულებული და, რომ მას სასწრაფო მეურნეობა ესაჭიროება. ამას გარდა, არის სხვა

არაერთი ბუნდოვანი ჩანაწერიც, რომელიც უამრავ კითხვას ბადებს. აქვე ორიოდ სიტყვით შევეხები პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას და ვიტყვი, რომ ის აბსოლუტურად სწორი იყო. მაგრამ ეს დოკუმენტი, რომელიც მთავრობამ წარმოადგინა, არაფრით განსხვავდება იმისგან, რაც თავის დროზე იმავე მიზნებით მოჰქონდათ ჟვანიასაც და ნოღაიდელსაც. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადების შემდეგ მთავრობამ ფორმალურად დადო მეორე დოკუმენტიც – 2008-2011 წლების ძირითადი მაჩვენებლები. ეს დოკუმენტი დადო ვითომდა ე.წ. პროგრამის განსამტკიცებლად. მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგანაც ეს დოკუმენტი აპრილის თვეშია დაწერილი, ამიტომ მასში ელემენტარულად ვერ მოხვდებოდა თუნდაც ის გახმაურებული 100 სასოფლო-სამეურნეო საწარმო, რომელიც მთავრობის ამ ახალ ე.წ. პროგრამაშია წარმოდგენილი.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად მართული ხელმძღვანელი იქნება ალექსიშვილი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობაზე?

– პრობლემა საკმაოდ რთულია. მე ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ხაზს ვუსვამ, იმ სამთავრობო ეკონომიკურ გუნდში, სადაც ალექსიშვილი მუშაობდა ის იყო პრაქტიკულად ერთადერთი პროფესიონალი ეკონომისტი. როდესაც ის პარლამენტში მოდიოდა, ყოველთვის ვაფასებდი მის პროფესიონალიზმს. აქვე იმასაც გავიხსენებ, რომ ერთ შემთხვევაში მან უდალატა თავის პროფესიონალიზმს, როცა შეეცადა იმის დასაბუთებას, რომ საშემოსავლო გადასახადის 12-დან 25 პროცენტამდე ზრდის შემთხვევაშიც დაქირევებულებმა თავი ბედნიერედ უნდა იგრძნონო. დღევანდელი გადასახედიდან, ლექსო ალექსიშვილი რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გახდეს, მისი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე, სიმართლე გითხრათ, რაიმე განსაკუთრებულ საფრთხეს ვერ ვხედავ. პრობლემა ცოტა სხვა კუთხით შეიქმნა. რამდენად იქნება ალექსიშვილი დამოუკიდებელი მთავრობისაგან. საზოგადოებაში გაბატონებულია აზრი, რომლის თანახმადაც რადგანაც ალექსიშვილი როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე და შემდგომ ფინანსთა მინისტრი მისი უშუალო უფროსის – ნოღაიდელის დავალებებს ასრულებდა, ეროვნულ ბანკშიც პრემიერის დავალებების შემსრულებელი იქნებაო. ამასთან ერთად სულაც არ არის გამორიცხული, რომ ალექსიშვილის ეროვნულ ბანკში გადაყვანით სულ სხვა სცენარიც განვითარდეს: მე ძალიან

კარგად მახსოვს, იგივე ზურაბ ნოღაიდელი როგორი იყო პარლამენტში, როცა ის ზურაბ ჟვანიას თანაშემწე იყო, და თუნდაც თავისი პირველი მინისტრობის დროს როგორ ერჩმილებოდა მის “გამზრდელს”. დღეს კი კიდევ უფრო განსხვავებულ ნოღაიდელთან გვაქვს საქმე სამჯერ ნდობაგამოცხადებული პრემიერ-მინისტრის რანგში. თუ ნოღაიდელმა შეძლო გარდაქმნა, აპრიორი რატომ უნდა ჩაითვალოს, რომ ალექსიშვილი უნიჭოა და ამას ვერ შეძლებს? აქედან გამომდინარე ადვილი შესაძლებელია ალექსიშვილმა გაითავისოს შესაძლო ასალი მდგომარეობა, დამოუკიდებლობა, რომელიც კონსტიტუციით აქვს მინიჭებული ეროვნულ ბანკს და სულაც არ დარჩეს ნოღაიდელის დვალებების შემსრულებელი. რაც შეეხება მის კარგ ურთიერთობას ნოღაიდელთან ეს შეიძლება ქვეყნისთვის კარგიც კი აღმოჩნდეს. კერძოდ, ის, რომ ქვეყანაში ორნიშნა ინფლაციაა, მგონი ეჭვი აღარავის (რა თქმა უნდა მთავრობისა და საერთაშორისო სვალუტო ფონდის გარდა) ეპარება. მთავრობისა და ეროვნული ბანკის შეუთანხმებელი მოქმედების უმთავრესი შედეგი სწორედ მაღალი ინფლაცია იყო, როცა ეროვნული ბანკი მის ხელთ არსებული ინსტრუმენტებით ცდილობდა ინფლაციის განეიტრალებას, ხოლო მთავრობა გაუმართლებელი ხარჯებით კი ინფლაციის ზრდას უწყობდა ხელს. ალექსიშვილის შემთხვევაში კი მთავრობასთან დიალოგი შეიძლება უფრო შედეგიანი აღმოჩნდეს... იმავედროულად არსებობს სერიოზული საფრთხეც, რომელიც მე მას შემდეგ გავაცნობიერე, რაც მოვისმინე, თუ როგორ აქებდა კახა ბენდუქიძე ალექსიშვილის კანდიდატურას ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად. მერწმუნეთ, ეს ბევრად უფრო სერიოზული საფრთხეა, ვიდრე ალექსიშვილ-ნოღაიდელის ურთიერთობა. მინდა შეგახსენოთ, რომ 2006 წლის გაზაფხულზე ბენდუქიძემ პარლამენტში წარადგინა კანონპროექტთა პაკეტი, რომელიც ეროვნული ბანკის დაშლას ისახავდა მიზნად. რომ არა თავად ეროვნული ბანკის, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის და, კერძოდ, ირაკლი კოვზანაძის აქტიურობა, დღეს ეროვნული ბანკი აღარ გვექნებოდა. რამდენადაც ვიცი, მთავრობაში ეროვნული ბანკის დაშლის გეგმები დღესაც მზადდება და, თუ ბენდუქიძე აქებს ალექსიშვილს, აქ უფრო დიდ საფრთხეს ვხედავ, რომ საბოლოოდ აღისროლოს “ოცნება” ბატონმა კახამ და გააუქმოს ეროვნული ბანკი. მე ვფიქრობ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ის პროფესიონალი უნდა დაინიშნოს, რომელიც ყველაზე მეტად არ მოსწონს ბენდუქიძეს. სწორედ ასეთი პიროვნება შეძლებს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე არ

შეუშინდეს საქართველოს მთავრობის ოლიგარქთან დაპირისპირებას. სხვათაშორის ასეთი გახლდათ რომან გოცირიძე... რომელიც მინდა მჯეროდეს გააგრძელებს თავის პროფესიულ საქმიანობას და კვლავაც აქტიურ როლს შეასრულებს ქართულ პოლიტიკაში.

შორენა კოწოწაშვილი